საქართველოს სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციონ. პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 400 მანეთი — № 41 — 1921 წ.

კვირას, ოქტომბრის 9-ს, ტფილისში ხელოვნების სასახლეში |სერგიევის ქ. 13| გაიხსნება

## სრულიად საქართველოს მორიგი წლიური მწერალთა ყრილობა

დღიური წეს რიგი:

1) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ.
2) ფინანსიური ანგარიშების შესახებ.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) სახელმწიფო გამომცემლობა და მწერალთა კავშირი.
5) „რაზისი“ და მწერალთა კავშირი.
6) ხელოვნების სასახლის ორგანიზაცია.
7) სამეურნეო საბჭოს დაარსება.
8) მიმდინარე საკითხები.
9) საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პროვინციიდან ჩამოსულ მწერლებს საბჭოსაგან მიეცემათ გზის ფული, სადილი და ბინა. ყრილობა გაიხსნება დილის 12 საათზე.

მწერალთა კავშირის საბჭო.

## ბინები და შენობები

დღეს რომ ჩვენში ბევრი რამ მოუწესრიგებელი და დაულაგებელია, არავინ შეგვედავება. ყველა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანოები ჯერ კიდევ ვერ გასწვდენიან იმ გაწიგრ და საჭირბოროტო საკითხებს, რომელიც მიმდინარე მომენტმა წამოუყენა გადასაჭრელად. ჯერ კიდევ ვამბობთ ჩვენ იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრების თითქმის ყოველ დარგში არის რაღაც ცდა, რაღაც მუშაობა. მაგრამ არის საკითხი, რომელმაც დღემდის სათანადო ყურადღება ვერ მიიქცია ვისგანაც ჯერ არს: ეს არის საკითხი ბინისა და შენობების. ბინის საკითხის მოუგვარებლობა კი მოქალაქისათვის დიდს უბედურებას წარმოადგენს. სხვა გაჭირვებასთან ერთად ბინის საკითხის მოუგვარებლობა იწვევს ზედმეტ ნერვიულობას და აფორიაქებს მოქალაქის ისედაც დაუმშვიდებელ სულსა და გულს. არ იქნა და არ იქნა ბინის საკითხის იმგვარად მაინც მოწესრიგება, რომ ყოველ წუთში შიში არ გვიპყრობდეს ბინიდან „გადმოსახლებისა“, ან და კიდევ ქარის გზაზე ღვთის ანაბარად დატოვებისა. არის დეკრეტები, არის ერთგვარი უფლებრივი ნორმები ბინის საკითხის შესახებ, მაგრამ მაინც დაუდგრომლობას განიცდის ბინის მხრივ ისიც კი, ვინც ამ დეკრეტებით თითქოს უზრუნველყოფილია. ამის მიზეზია ხშირი თვითნებობა და მოუხეშავი და ტლანქი მოპყრობა მოქალაქეთადმი იმათგან, ვინც უნდა ასრულებდეს კანონს, ემორჩილებოდეს ბრძანებას. ხშირად ვინც ამ თვითნებობას თვითნებობითვე და ძალმომრეობითვე უპასუხებს ის ბინაზე დარჩება, ქუჩაზე გადმოსროლის საშიშროებას ასცილდება, მაგრამ ყველას არ მოეპოება საამისო რიხი და შესაფერი გავლენა თავისი ბინის დასაცავად. ამიტომ ხშირად უბინაოდ ის რჩება, ვინც „მშვიდია“, ვისაც დიდი „ხლაფორთის“ თავი არ აქვს. არა ერთი და ორი ატირებული მოქალაქე უნახავს ყოველ ჩვენგანს სრულიად უსამართლოდ ვინმე „აგენტისაგან“ უთავშესაფროდ დატოვებული. ამიტომ ჩვენ ზედმეტად არ მიგვაჩნია, თუ იქნება მიღებული სწორედ სასტიკი ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც ასეთ აფორიაქებულ და მშფოთვარე სულიერ განწყობილებას მოქალაქეთა შორის აძლიერებს თავის მოქმედებით და მით საბჭოთა ძალა-უფლების განმტკიცებასაც უდიდეს ზიანს აყენებს. უნდა მიექცეს აგრეთვე დიდი ყურადღება იმ დაწესებულებებს, რომელთაც ასე თუ ისე ბინის საკითხთან აქვთ კავშირი, რომ ამ დაწესებულებების ხელმძღვანელი მომუშავენი დანიშნულების სიმაღლეზე იდგნენ. თუ არა და ასეც კი ხდება: მოქალაქეს ასახლებენ გაუგებრობით, ან თვითნებობით, იგი საჩივრით სათანადო უწყებაში მიდის, მაგრამ უწყებაში არავინ ხვდება, ან კიდევ საქმე ისე ჭიანურდება, რომ გადასახლების შემდეგ ირკვევა მისი უსამართლოდ დასჯა. ბინის საკითხი იმდენად მტკივნეული შეიქნა მოქალაქისათვის, რომ ხშირად იგი ეძებს არა ისეთს სამსახურსა და სამუშაოს, რომლის გაკეთებაც მას შეუძლია, არამედ ისეთს დაწესებულებაში ცდილობს მოხვედრას, რომელიც მის ბინას დაიცავს ასეთი თვითნებობისა და გაუგებრობისაგან. ამიტომ ბინის საკითხი, რომლის მოგვარება ასე ძნელია და ასე აუცილებელი, განსაკუთრებული ყურადღების ღირსი უნდა გახდეს. აქ საჭიროა იდეური და სერიოზული [illegible], რომ ასეთგვარი გაუგებრობისაგან დაიცვათ მოქალაქეც და საბჭოთა ძალა-უფლების პრესტიჟიც. რაღა თქმა უნდა მარტო ცენტრალური საბინაო განყოფილების და მუშათა მდგომარეობის გამარიგებელი უმუშევრობის კომისიას არ შეეხება ბინის საკითხი. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ტფილისის უსაქმურთაგან განმტვირთველი კომისია; ჯერ-ჯერობით ტფილისს არ უგვრძნია ამ განტვირთვის მსუბუქობა, თუმცა მისი მუშაობაც ჯერხნობით არ დამთავრებულა. ამ განტვირთვისაგან კი დიდათ არის დამოკიდებული ბინის სივიწროვის ქალაქში მოსპობა. მაგრამ ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ბინის საკითხის სასურველად გადაჭრელობა მარტო შინების სივიწროვით არ არის გამოწვეული და ვამბობთ: გამარტივება მუშაობისა საბინაო დაწესებულებების, მეტი ამორჩევა დაწესებულებების პერსონალური შემადგენლობისა და მეტი პირწმინდათ დაცვა არსებული დეკრეტებისა.

მაგრამ საბინაო კრიზისს ამითაც ვერ ამოვსწურავთ. შენობები, როგორც ვიცით ინგრევა, შემკეთებელი არავინ სჩანს. მთელს ტფილისში შენობათა 50 პროც. უკვე საცხოვრებლად უვარგისად იყო აღიარებული კარგა ხანია სპეციალისტ-ინჟინრების მიერ. მთავრობამ სათანადო ზომები უნდა მიიღოს, რომ შენობას ეყოლოს პატრონი და იგი მას აკეთებდეს. ასე უფა გზაზე გაჩერება შეუძლებელია. შენობა დღეს მესაკუთრეს კიდეც ეკუთვნის და არც ეკუთვნის. ან ნაციონალიზაცია შენობების ან ერთგვარი პირობების შექმნა მეპატრონისათვის, რომ მან შენობა შეაკეთოს, დეპატრონოს—ან ორგვარი გადაჭრა შენობების საკითხისა; და მთავრობამაც ერთი უნდა აირჩიოს. კიდევ იმგვარ მდგომარეობაში დატოვება შენობების საკითხისა, როგორც დღემდის, ნიშნავს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების ნგრევას გაგრძელებას. საჩქარო და განსაკუთრებული ზომებია საჭირო რომ ბინის და შენობების საკითხი სათანადოთ მოწესრიგდეს.

## დაწესებულებათა გაეროვნება და მშრომელი ხალხი

რუსეთის რევოლიუციის პირველ დღეებშივე დაწესებულებათა გაეროვნების საკითხი საქართველოში პირველ რიგში დაისვა. ასი წლის მონობამ და ძველი რუსეთის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ, ყოველივე ნიშანწყალი გააქრო დაწესებულებათა ეროვნული ელფერისა და იგი მკაცრად დაუქვემდებარა თავის რუსიფიკატორულ პოლიტიკას. ამ პერიოდში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილი უმთავრესად მთელი სისასტიკით და სიმწვავით განიცდიდა უცხოელთა ბატონობას, რომლის მძიმე და ტლანქი ხელი აქარწყლებდა და მიწასთან ასწორებდა ყოველივეს, რასაც ეროვნული თვითარსებობის ელფერი ედო.

ასეთ პირობებში ცხადია ოცნებაც კი არ შეიძლებოდა ადგილობრივ მკვიდრთა მშობლიური ენის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონება. მაგრამ 1917 წლის მარტის თვეში, როდესაც რევოლიუციამ სასიკვდილოდ დასცა ძველი წყობილების სხეული, დაწესებულებათა გაეროვნება მორიგ საკითხად დაისვა და ქართველი ხალხი, მოწყურებული მშობლიური ენას მთელი თავისი ენერგიით იბრძოდა ამ საკითხის სათანადოთ გადაჭრისათვის.

ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია აღვნიშნოთ მენშევიკების პოზიცია—ან უკეთ მათი პრაქტიკული პოლიტიკა ამ საკითხში, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ქართული ენა და საქართველო მენშევიკებისათვის 1918 წ. 26 მაისიდან გაჩნდა, როდესაც იძულებული გახდენ განშორებოდენ იმ არეს, სადაც არა ქართულ პოლიტიკისა და არა ქართულ მიმართულებისათვის ადგილი ჰქონდათ. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ქართველი მშრომელი, თუ მენშევიკებს უჭერდა მხარს, ეს იყო არსებითად ეროვნული პოლიტიკის მხარის დაჭერა, რადგან ისტორიის ნებით მენშევიკები იძულებული გახდენ ეცნოთ ის ღმერთი, რომლის დასამხობად ესოდენი ენერგია ჰქონდათ დახარჯული.

ცხადია, პატარა ერი, იმპერიალისტური პოლიტიკის ობიექტად გამხდარი, რომელიც ეკონომიურ ჩაგვრასა და ექსპლოატაციასთან ერთად განიცადა ეროვნული ჩაგვრის სიმძაფრეს, დაინტერესებული იყო უპირველესად ყოვლისა ეროვნული თავისუფლებით, ეროვნული კულტურითა და უპირველესად მშობლიური ენით, რომლის გარეშე მშრომელს ყოველგვარი გასაქანი ეკარგებოდა, არა თუ მარტო თვითგანვითარებისა და ინტელექტუალი მუშაობისა, არამედ უბრალო პრაქტიკული საქმის მოგვარებისთვისაც.

ამიტომ იყო რუსეთის რევოლიუციის დაფასება და მისი დიდ რევოლიუციად დასახვა ქართველი მშრომელისათვის, რადგან მისგან იგი მოელოდა განთავისუფლებას მონური მდგომარეობიდან და თავისუფალი აზრის თავისუფლად გამოთქმას.

რამდენადაც ამას მხარს უჭერდა მენშევიკები (რასაკვირველია არა პირდაპირ დაინტერესებული ამით, არამედ იძულებით), იმდენად ის იპყრობდა ხალხის ყურადღებას, იმდენათ მას დასაყრდენი ქონდა მშრომელ მასაში.

დღეს ჩვენ ახალი პოლიტიკური კონიუნქტურის წინაშე ვდგევართ. ჩვენი ცხოვრება რადიკალ ცვლილებებს განიცდის. სოციალ-ეკონომიური პოლიტიკა არსებითად იცვლება. სახელმწიფოებრივი ფორმა სხვა სახეს ღებულობს და საბჭოთა სისტემის სტრუქტურაში ყალიბდება. ჩვენი ორიენტაციაც დიამეტრალურად იცვლება. ყოველივე ეს ქართველი მშრომელის სასარგებლოდ უნდა იყოს მიმართული. ყოველი ნაბიჯი ქართველი მუშის ინტერესებს უნდა ეფუძნებოდეს. ყოველი ცვლილება მის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს.

ეს ჩვენ კარგად ვიცით და კარგად უნდა იცოდეს ყველამ, ვინც საქართველოს სინამდვილეში არსებობს და ხუთ გრძნობაში სამი მაინც შერჩენია, რომ ქართველი ხალხის ერთი უდიდესი, უპირველესი და მასთან ერთად სრულიად ბუნებრივი და სამართლიანი მოთხოვნილება—ეროვნული თავისუფლებაა. ეს კარგად ესმის დღეს ყოველ შავრაზმელსაც საქართველოში, კარგად ესმის იმათაც, ვისთვისაც ეროვნული საკითხი და მშობლიური ენის უფლება ტაქტიკური მომენტია მხოლოდ, იმათაც ვინც რუსთველის პროსპექტზე მხურვალე პატრიოტია და პარიზში ხელს მოაწერს საქართველოს დამოუკიდებლობის გაყიდვას პარტიულ ანგარიშებში. ყველა ესენი დღეს ჩვენი მშრომელის სათუთ გრძნობებს, მის სიცოცხლის ინტერესებს იყენებს თავის სასარგებლოდ და არსებულ წყობილების წინააღმდეგ სააგიტაციოდ.

ვინ არის დღეს, რომელიც ეროვნულ იდეას არ ემსახურებოდეს. ვინ არის იგი, რომელიც ამ იდეით სპეკულაციას არ ეწეოდეს. დაწყებული წმინდა წყლის რეაქციონერებით ის ტან-მოსხმა სპეკულიანტებით პატრიოტიზმის სახელით გამოდიან, საქართველოს თავისუფლებაზე დაადგებიან, რადგან იციან, რომ საქართველოში, ქართველ მუშასთან ვერავინ ვერ მივა გარეშე საქართველოს მარადისობის იდეისა, გარეშე ეროვნული თავისუფლების აღიარებისა.

ამ ხალხის „მოღვაწეობა“, რომლის საქმიანობა უფსკრულისაკენ მიაქანებს საქართველოს თავისუფლებას და მის დამოუკიდებლობას, ადგილს პოულობს ჩვენში იმ სამწუხარო მოვლენის გამო, რომლის წყალობით დღემდე ჩვენს დაწესებულებებში სჭარბობს უცხო ელემენტი, არა ქართული ენის მცოდნე.

ეს მოვლენა ქართველ მშრომელს აგონებს ძველი რუსეთის მოხელეებს, რომლისგან ესოდენი სიმწარე და შეურაცხყოფა განუცდია, როგორც ეკონომიურად ისე ეროვნულად. ქართველი მასა ადვილად წამოეგება რეაქციონურ ანკესს, როდესაც იგი დაწესებულებაში ხედავს იმ ხალხს, რომელთა ფიზიონომია მისთვის ძველად ნაცნობი იყო, რომელიც ტყავით და ძველი გულით ისევ იმ მაგიდას მოუდგომია, რომლის გარშემო „მოღვაწეობდა“ იგი ამ საშინელ წლის წინად.

ჩვენ კარგათ გვესმის მთელი სიძნელე დაწესებულებათა გაეროვნებისა, მაგრამ ნახევარი წლის განმავლობაში მეტის გაკეთება შეიძლებოდა, როდესაც ამისათვის აუარებელი ძალებია ჩვენში. ამ მოვლენამ რაღაც გაურკვეველი ხასიათიც მიიღო. საქართველოს რევკომში, სახელმწიფო თეატრებში და ზოგ დაწესებულებებში თქვენ ვერ იგრძნობთ უცხო ენის ბატონობას, მაგრამ მუშათა მაგიდაში, ცენტრალურ სამკერვალოში და დაწესებულებათა უმრავლესობაში, შეუძლებელია შესვლა არა რუსული ენით, არა რუსული განცხადებით. ასეთი მდგომარეობაა ტფილისში, მაგრამ რომ გადავხედოთ ქუთაისს, სრულიად საწინააღმდეგო სურათს დავინახავთ, იქ არ სჩანს არა ქართული დაწესებულება, არა ქართული ტენდენცია, არ სჩანს უცხო ენის ბატონობა. მაშასადამე სიძნელე დაწესებულებათა გაეროვნებისა არსებითად შემცირებულია. გავრცელდეთ იგი ტფილისზე და საბოლოოდ ნიადაგი გამოეცლება კონტრ-რევოლიუციონურ ლაყბობას.

თავის თავად დაწესებულებათა გაეროვნება არც ნაციონალიზმია და მით უმეტეს არც შოვინიზმი. ეს უბრალო ადამიანური და ელემენტარი კულტურული მოთხოვნილებაა, რომლის წინააღმდეგ დღეს პრინციპიალურად ვერავინ ხმას ვერ ამოიღებს. მაგრამ არ კმარა პრინციპების ჰაერში ჩამოკიდება. პოლიტიკა უმთავრესად პრაქტიკაა და ამდენადვე ყოველი პრინციპი სინამდვილეში უნდა ნაღდდებოდეს, იქ უნდა მტკიცდებოდეს.

დაწესებულებათა გაეროვნებისათვის ჩვენ არა თუ საკმაო, პირიქით ზედმეტი საშუალებანიც მოგვეპოება. საქართველო თუ ღარიბია სპეცებით, იგი მდიდარია ინტელიგენციით. შეიძლება სადმე საჭირო იყო უცხო მოხელეთა და მომუშავეთა კადრი, მაგრამ საქართველოს სინამდვილეში იგი არსებითად ზედმეტი ბარგია, პარაზიტია, მიუღებელია, ჩვენთვის დღეს, როგორც ეკონომიურად ისე ეროვნულად და სახელმწიფოებრივადაც.

ჩვენ კარგად ვიცნობთ ქართველი ხალხის ეროვნულ ტკივილებს მეოცხედი საუკუნის განმავლობაში სასოებით შევყურებდით და გულის სისწრაფით ვემსახურებოდით ქართველი მუშის ეროვნულ მოთხოვნილებებს, ჩვენ ამ მხრივ ყველაზე უფრო ახლოს ვიდექით მათთან და ამიტომ ყველაზე უფრო კარგად ვიცით დღესაც მისი გულის ტკივილი. ჩვენ ვიცით, რომ ქართველი მუშა უკანასკნელ ლუკმა პურს დასთმობს, უკანასკნელ გასაჭირს გაუმკლავდება, არა ჩვეულებრივ კომპრომისზე წავა, თუ კი შებღალული არ იქნება მისი ეროვნული გრძნობა, თუ განდევნილი არ იქნება მის მშობლიური ენა, თუ შეურაცხყოფილი არ იქნება მისი ეროვნული თავმოყვარეობა. ქართველი მუშა, ქართველი ინტელიგენცია, ქართველი ახალგაზრდობა თუ თოფით ხელში იცავდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ამაში იგი საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას ხედავდა, მისთვის იბრძოდა, მისთვის მიჰქონდა ერის სამსხვერპლოზე თავისი სიცოცხლე. თუ დღევანდელი ხელისუფლება შესძლებს ეროვნული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, დაწესებულებათა გაეროვნებას, ქართ. ჯარის შექმნას, ქართული ენის გაბატონებას საქართველოში, ერთი-სიტყვით ეროვნული თავისუფლების ატრიბუტების დაცვას, ჩვენ მოწამე გავხდებით, რომ ჟამსა განსაცდელისა ქართველი მუშა, ქართველი ინტელიგენტი, ქართველი ახალგაზრდობა ისევ თოფით ხელში გაეშურება ბრძოლის მოედანზე საბჭოთა საქართველოს დასაცავად.

ხერ. ამაღლობელი.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

## „ტრიბუნის“ რედაქციას *)

პატივცემულნო მოქალაქენო, დიდ დავალებული ვიქნებით, თუ ამ ჩემ შენიშვნას ადგილს დაუთმობთ თქვენს ორგანოში; ვგრძნობ, თუ რამდენად უხერხულ სხვისი სტუმართ-მოყვარეობით ფართო სარგებლობა. მაგრამ ხომ იცით რომ მასპინძლობა ქართული ძველი ადათია.

გაზეთ „ტრიბუნის“ მე-22-ე ნომერში დაბეჭდილია მოქალაქე ომეგას წერილი შემდეგი სათაურით: „რა განსხვავებაა“, რომელიც ეხება დიდ კითხვებს, მაგრამ სამწუხაროდ არ იძლევა გარკვეულ პასუხს, უეჭველად ადგილის უქონლობისა და წერილის საგაზეთო ხასიათის გამო. უმთავრესი კითხვა, რომელიც ომეგას თქმით, იწვევს გაუგებრობას, არის სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხი. როგორც ვიცით, კომუნისტ-ბოლშევიკებმა ამის შესახებ შექმნეს ცნობილი თეორია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: როდესაც ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელშია, მაშინ სახელმწიფო კაპიტალიზმი არ არის საშიში. სახელმწიფო წარმოებას განაგებს მუშური მთავრობა და აწყობს მას თავისი ინტერესების მიხედვით. ეს თეორია მართალია და იმავე დროს ყალბია. ეს დამოკიდებულია დროსა და ადგილზედ.ავიღოთ მაგალითად წარმოვიდგინოთ ერთი წუთის, რომ დღევანდელმა ინგლისის მთავრობამ მოახდინა მადნეულების, ტრანსპორტის და სახსოვ ქარხნების სრული ნაციონალიზაცია, ეს იქნება სახელმწიფო კაპიტალიზმის პოლიტიკა ბურჟუაზიულ საფუძველზედ წარმოებული და მთელს წარმოებას ახალ პირობებშიც ბურჟუაზიული სახე ექნება. წარმოვიდგინოთ, მეორე მხრივ, რომ ეს ნაციონალიზაცია მოახდინა სოციალისტურად განწყობილმა ინგლისის მუშების მთავრობამ. მაშინ რასაკვირველია წარმოებას მიეცემა სოციალისტური ელფერი, ენ უკანასკნელი შესაძლებელია ინგლისში, ხოლო შეუძლებელია რუსეთში, თუნდაც წარმოვიდგინოთ, რომ უკანასკნელ ქვეყანაშ მუშების მთავრობაა. რატომ? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ინგლისის საზოგადოებრივი დარგი წარმოადგენდეს იქნება მთელი ნაციონალური მეურნეობის 70—80 პროც. მთელი ის ნაციონალურ-ეკონომიური პირობები, რომელიც შემოღებული იქნება ინგლისის გასაზოგადოებულ წარმოებებში, ეკონომიურად სავალდებულო იქნება მთელი ინგლისის მეურნეობისთვის, თავისუფალ ფასებს სპეკულიაციას და სხ. ადგილი არ ექნება. რუსეთში შეიძლება გაასაზოგადოვოთ დიდის ვაი-ვაგლახით წარმოების 5—10 პროც. დანარჩენი 90 პროც. დარჩება მის გარეშე, კერძო ინიციატივის სრულ სფეროში და ის უკარნახებს ეკონომიურ პოლიტიკას მმართველ პარტიას, ასეც ხდება რუსეთში ჩვენი თვალის წინ. როდესაც წარმოების 90 პროც. ბურჟუაზიულ ნიადაგზედ არის აგებული (ან, როგორც ომეგა სწერს, იქ გამეფებულია „თავისუფალი ვაჭრობა, თავისუფალი ფასები, გადასახადები, სპეკულიაცია“) მაშინ მთავრობის, შინაური და საგარეო ეკონომიური პოლიტიკა (მსგავსად ბიუჯეტის მოწესრიგების მხრივ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს) იქნება არსებითად ბურჟუაზიული და მხოლოდ ამ ფარგლებში მოსურნე დააკმაყოფილოს

*) ამ საკითხმა, როგორც ევროპის, რუსეთის ისე ჩვენს საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. უთმობთ რა ავტორის ადგილს, რედაქცია კვლავ დაუბრუნდება ამ საგანს.

რედ.

მუშების ინტერესები, რაც შეიძლება მაქსიმალურად. რუსეთის კომუნისტების პოლიტიკა, გადაჭრილ ლიკვიდაციულ პირობების მეოხებით, თან და თან ეყრდნობა ბურჟუაზიულ საფუძველზედ და ეს ხდება ბურჟუაზიით მოსილ ლოზუნგის „გლეხებისთვის დათმობის", ხოლო ნამდვილად ბურჟუაზიისათვის დათმობის სახით.

ომეგა სწერს: „გვერდი აუაროთ კერძო კაპიტალისტებს, შევქმნათ სიმდიდრე, გავზარდოთ საწარმოო ძალები, მაგრამ ისე, რომ ყოველივე ეს დაგროვდეს მშრომელთა ხელში და ნუ გადავა ქონება კერძო კაპიტალისტების ჯიბეში". ეს დებულება ნათელია. მაგრამ ჩვენ გვიკვირს, თუ რატომ გონია ომეგას, რომ ასეთია კომუნისტების ახალი ეკონომიური პოლიტიკა? კეთილ ინებეთ და აგვიხსენით, როგორ დაგროვდება ქონება მშრომელთა ხელში, თუ ტყიბულის, ტყვარჩელის და ჰიათურის მაღაროებს და საქართველოს ხე-ტყეს გადასცემთ ევროპიელ კაპიტალისტებს (ექსპლოატაციოდ? თუ დონბასის მაღაროებს და ბაქოს წარმოებას იჯარით გასცემთ ამერიკულ-ინგლისელ სინდიკატებზედ? ეს არის „გვერდი აუაროთ კერძო კაპიტალისტებს?" ასეთი პოლიტიკა არამც თუ სახელმწიფო კაპიტალიზმია—ეს ჩვეულებრივი კაპიტალიზმია, თანაც აწერილი გამორკვეული. ომეგა თავის სოციალურ მსოფლ-მხედველობას აქტიურ სოციალიზმს უწოდებს. ეს სავსებით ხატავს ომეგის ზემოდ მოყვანილ დებულებებს, მაგრამ სრულებით არ ხატავს ბოლშევიკებ კომუნისტების ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. სწორედ ამისთვის არსდება ახლა ევროპაში მეოთხე კომუნისტურ—მუშური ინტერნაციონალი, რომ ისიც აქტიურ სოციალიზმის მომხრეა და მისი მონაწილენი (გერმანიის მუშური კომპარტია, საფრანგეთის კომუნისტ-სინდიკალისტები, იტალიის და გოლანდიის მემარცხენეები და სხ.) გაოცებით შეჰყურებენ მოსკოვის ახალ პოლიტიკას. მათ დებულებებს ჩვენ სრულებით არ ვიზიარებთ, მაგრამ ისინი ერთში ცამდის მართალნი არიან. მათ აშკარად დაინახეს რუს კომუნისტების ახალ პოლიტიკაში მიელი სამი წლის ლოზუნგების უარისყოფა და ზურგი შეაქციეს მათ.

ომეგა ეხება მენშევიკების ეკონომიურ პოლიტიკას და სხვათა შორის სწერს: საკუთრების განმტკიცება მიწაზედ და საზოგადოდ, უვასოდ ჩამორთმეულ მიწაზედ ფასების დადება (რომ ღარიბს ვერ შეეძინა და სულ გაპროლეტარებულიყო) და სხ. მიწა ღარიბს ვერ შეეძინა? ეს სერიოზულად არ არის დაწერილი. დესეტინა მიწა იყიდებოდა 500—800 მანეთად და იმავე დროს ერთი ქათამი ღირდა 500 მანეთი, ხოლო სოფლის ღვინო ძუძას ხელფასი კიდევ მეტი—მაგრამ ამას თავი დავანებოთ. სოფელშიც ბურჟუაზიული ურთი-ერთობა სავსებით განმტკიცდება, თუ დაშვებული იქნა თავისუფალი დაქირავება მუშის. მე შემიძლია უწინასწარმეტყველო ომეგას (და ფ. მახარაძესაც), რომ ეს ჩქარა მოხდება ბოლშევიკურ რუსეთში. შესაძლებელია დაუშვან მიწის იჯარაც. უკვე არის ნიშნები.

მაშ. ნაც ხომ არ იტყვის ომეგა—ისევ ძველებურად მიდის საქმე, არაფერი არ გამოცვლილაო.

განსხვავება, რასაკვირველია, არსებობს კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის და დიდი განსხვავებაც. სხვა კითხვებს (დიდ კითხვებს) თავს დავანებებთ და შევეხებით მხოლოდ ერთს. რუსეთი ეკონომიურად ხდება ევროპაამერიკის საშველ ფურად, რასაკვირველია, დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში. პატივცემული მოსკოვი ფიქრობს ჩვენც გამოვგზავნოს ფურცელი, ან მათი ფორმით, ყოფილი და ძოძავალი რუსეთის კაპიტალისტები. მაგრამ ხომ იცით რა უბედურება იყო ძველად ყმის ყმობა, გლეხის-გლეხობა? ვისაც ეს არ ესმის—იმას არაფერი გაეგება დღევანდელი საერთო მდგომარეობის და სამუდამოდ დაკარგულია საქართველოსათვის.

ქართველი მარქსისტი.

## რესპუბლიკის ნავთ-სადგურების მდგომარეობა

(საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობა.)

1917 წლის დაწყებიდან რესპუბლიკის ნავთსადგურები არ შეკეთებულა და ამ ჟამად, როგორც ნავთს დ ურები, ისე ზედ ნაშენნი ფრიად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება.

ბათუმის ნავთ-სადგურში უცხოელების ყოფნის დროს 18—19 წლებში პორტში ჩაძირულ იქმნა რამოდენიმე გემი, რომელიც ამ ჟამადაც ხელს უშლიან დიდი გემების მოძრაობას ნავთ-სადგურში.

პირველ რიგში ნავთ-სადგურის რიგიანად ამოქმედებისათვის საჭიროა მისი ძირის დათვალიერება, ნაპირის ხაზის გაზომვა, ჩაძირული გემებისაგან ნავთსადგურის განთავისუფლება, ქალაქის ნაპირის გამაგრება, და ს ნაპირო კედლების ამოყვანა და სხვ.

ასეთივეა ფოთის პორტის მდგომარეობაც თუმცა, ის ნაკლებათაა დაზარალებული, ვინემ ბათუმის პორტი, რადგანაც იქ უცხოელებს არ მიუყენებიათ ისეთი ზიანი როგორც ბათუმისთვის. მაგრამ პორტის სანაპირო ნაშენი ა წ. იანვრის 25 ღელვამ მეტად დააზიანა. ნავთ-სადგურის სიღრმის სიდიდეზედ მეტად ცუდი მოქმედება იქონია 1920 წლის ნოემბრის საშინელმა ღელვამ, რის შემდეგაც ნავთ-სადგურის სიღრმე განისაზღვრება 6—8 ფუტით და ნაპირთან ახლოს კი, სადაც ვიწრო შემოსავალია გემებისათვის ზღვის სიღრმე მეტად პატარაა. ზღვის ფსკერის აწევა ხდება მუდმივი ძლიერი ღელვისაგან, რომელიც ჩრდილოეთის სანაპიროზე სტოვებს დიდძალ ქვიშას. პორტის სრულიად განადგურებისაგან დასახსნელად საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება მის გასაწმენდათ.

ფოთში საჭიროა შემდეგი მუშაობის შესრულება—პორტში შემოსასვლელის გაღრმავება, ჩრდილოეთის სანაპიროს გაწმენდა ქვიშისა და შავი ქვისაგან რაიცა ხელს უშლის გემების ნაპირზე მოდგომას, ელექტრონის განათების აღდგენა და სხვ

სოხუმის ნავთ-სადგურში არ არის მოწყობილი დიდ გემების მისადგომი არც ნავთ-სადგურის მოწყობილობა, არც სიმაღლე ხელს არ უწყობს ამას. ამიტომ საჭიროა შესდგეს პროექტი სოხუმის ნამდვილ პორტად გადაქცევისა და გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები ამ მხრივ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, მთელი ტეხნიკური და საექსპლოატაციო მხარე ნავთსადგურებისა გადაეცა ნავთ-სადგურების სამმართველოს.

ამ ჟამად რესპუბლიკის ნავთ-სადგურებს აქვს შემდეგი ზღვით გადამზიდავ გადამყვანი საშუალებანი: ბათუმის პორტს —კატერი „თამარიდა", 240 ძალიანი, „შევარდენი" 60 ძალიანი „ობოლი" 16 ძალ. „მაიეუს", 12 ძალ. „წმ. ნიკოლოზი" 24 ძალ. „წმ. გიორგი" 40 ძალ, ნავები ჩამოდგმულ მატორებით 2,5 ძალ. თვითეული.

ფოთის პორტში: კატერი „პოროხი" 360 ძალ, ცეცხლის მქრობელი კატერი „მუშა" 100 ძალ, გემი „მიხეილი", კატერი „ოლეჩკა" „ტფილისი" „ჩაიკა", „რუსთაველი", „კოლხიდა", „მერცხალი", „მონადირე", 6—დან 24 ძალამდე. ზხუნები „ქართლი", „კომინტერნის მესამე კონგრესი", „ცხენის წყალი", „ილიაზ ჯაფარიძე", „ოქროს ვერძი", „სოხუმი", „სერ. წულუკიძე" 12—80 ძალამდე და ოთხი ცალი ბარჟა.

ნავთ-სადგურებს მოქმედება გამოიხატება შემდეგში:

რუმ- ნეთიდან გამოშვებულ იქმნა 7 ნავთის ჰურჰელი, ბათუმის პორტში ხელახლად მოწყობილ იქმნა მეხანიკური სახელოსნო, მ ჟამად სწარმოებს რემონტი ოთხი ნავთ-ჰურჰელის 194 ძალის რაოდენობისა.

გემების მოძრაობა გამოიხატა შემდეგში—მაისიდან სექტემბრამდი შემოვიდა ბათუმში 511 გემი—გავიდა 497. ფოთში შემოვიდა—68 გემი და ფოთიდან 58 შემოტანილი იქნა საქონელი მაისიდან—სექტემბრამდე ბათუმსა და ფოთში—200445 ფუთ.—გატანილ იქნა 79158 ფ.

პორტების მმართველობის განკარგულებაში არის აგრეთვე საწყობები პაკჰაუზები, ღია მოედნები საწყობისათვის და სხვ.

## ახალი ამბები

— ქალაქის რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობით სადგურის მოედანზედ, სადგურის პირდაპირ, სასტუმრო „ზამად"-ში დაარსდა ცნობების ბიურო ქალაქის რევკომისა, რომელიც იძლევა ყოველგვარ ცნობებს ქალაქის დაწესებულებების და საერთოდ ქალაქის ცხოვრების შესახებ. ცნობების მიღება შეიძლება დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

— ქალაქის რევკომის საინფორმაციო განყოფილება იუწყება, რომ კომუნალურ მეურნეობის განცხადებით ქალაქის აბანოებით სარგებლობის ფასებმა მოიმატა 3 ოქტომბრიდან. ნომერი საათით 10,000 მანეთი და საერთოში 1000 თითოზედ. აბანო ღიაა საქმის დღით 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

— რუსეთმა საქართველოს გამოუგზავნა უფასოდ 6000 წყვილი ფეხსაცმელი და 700,000 არშინი მანუფაქტურა.

— დღეს, შაბათს, ოქტომბრის 8-ს, სტუდენტთა სასადილოში საღამოს 6 საათზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ. კავშირის გამგეობის არა ჩვეულებრივი კრება.

— გაზეთი „ტრიბუნა" იყიდება სტუდენტთა კოოპერატივში, რუსთაველის ქუჩა „ჩვენი ოჯახი".

— სამგარაკო სეზონი ბორჯომ-აბას თუმანის დათავდა. სანატორიები დაიხურა. ავადმყოფების ევაკუაცია დასრულდა კურორტების დირექტორი ზანდუკელი დაბრუნდა ტფილისში.

## პარტიული ცხოვრება

**პარტიული მუშაობა სამურზაყანოში.** ზუგდიდის სამეულმა მიიღო თავის თავზე სამურზაყანოში პარტიული ორგანიზაციების განახლება და პარტიის წევრთა ახალი რეგისტრაციის მოხდენა. მან განაახლა თითქმის სოფელში პარტიული ორგანიზაცია, მხოლოდ რეგისტრაციის მოხდენას კი შეუშალა ხელი იქ მომუშავე პარტიული ამხანაგების დევნამ: დაპატიმრებულ და გალში გადაზავნილ იქნა ამხ. ალექსი მარგოშია და სხვანი პოლიტბიუროს განკარგულებაში. ამბობენ ხოლმე—„ლიონტისტებს" პარტიული მუშაობის უფლებას დამოუკიდებელ აფხაზეთში ვერ მივცემთო—ისინი არ არიან „სანდო" პირნიო. ამ გაუგებრობას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო.

პ. მარგალი.

## უცხოეთი

**ვაშინგტონის კონფერენცია.** ლე მარტიე „ჟურნალ დე დება"-ში აფრთხილებს, რომ საფრანგეთს არავითარი კარგი არ მოელის ვაშინგტონის კონფერენციიდან. ამერიკამ საკმაოდ შეაგნებინა საფრანგეთს, რომ მას სურს გამოიყენოს მისი ამერიკისაგან დავალიანება, როგორც საშუალება საფრანგეთის ამერიკის გადაწყვეტილებათა დამორჩილებისათვის.

ერთა ლიგაში წევრებათ მიღებულია ესტონია, ლატვია და ლიტვა. „ერთა ლიგის" წევრებად არის 51 სახელმწიფო.

**ოსმალეთის მოთხოვნილება.** თავის ინტერვიუში ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ნაბი-აეიმ პარიზში შემდეგი განაცხადა: „ყოველის მხრით ამტკიცებენ, რომ მეფე კონსტანტინემ მიმართა „ერთა ლიგას" თხოვნით შუამდგომლობის შესახებ. სათათრეთი თანაგრძნობით უყურებს ამ უმაღლესს კრებულს, მაგრამ მე არ ვიცი დასთანხმდება თუ არა ქემალ ფაშა შუამდგომლობას. ყოველ შემთხვევაში, ქემალისტები უწინარეს ყოვლისა მოითხოვენ დაუყონებლივ ევაკუაციას ტერიტორიისას, რომელიც დაჭერილი აქვთ ბერძნებს. მოლაპარაკების დროს,—განაგრძობს ნაბი-ბეი—მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ოსმალების სამხედრო წარმატება, აგრეთვე სამხედრო მოქმედების დროს გამოწვეული ზარალი. ზავი შესაძლებელია განმტკიცდეს მხოლოდ იმ პირობებში თუ კონსტანტინეპოლი და სმირნა დაბრუნებულ იქნება და აგრეთვე თუ შეიქმნება პოლიტიკური ეკონომიური დამოუკიდებლობის სრული გარანტიები.

**სესხი ევროპას.** პარიზიდან მოსული ცნობით, ამერიკის მსხვილ ბანკებს განზრახვა აქვთ ევროპის სახელმწიფოებს მისცენ 500 მილიონი დოლარი სესხი.

**რუმინია და საბ. რუსეთი.** „ჟურნალ დე პოლონ"-ში მოთავსებულია რუმინიის წარმომადგენლის პოლონეთში შემდეგი განმარტება: „ვინაიდგან ამ რამდენიმე ხნის წინად გავრცელდა ხმები, თითქოს რუმინიისა და რუსეთის მთავრობათა შორის არსებობდეს უთანხმოება, და აგრეთვე ორივე მხარე თითქოს ემზადებოდნენ ომისათვის, რუმინიის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია თავისი მხრით განაცხადოს, რომ ასეთი ცნობები მოკლებულია ყოველგვარ სიმართლეს. რუმინიის დელეგატის გაგზავნა ვარშავაში, რომელსაც მინდობილი აქვს შევიდეს რუსეთის წარმომადგენელთან კონტაქტში მომავალ მოლაპარაკების პროგრამის შესახებ, აგრეთვე ნებართვა რომელიც მიეცა საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ოთხს დელეგატს გაემგზავრონ რუმინიაში ხორბლეულობის საყიდლად, ამტკიცებენ, რომ არავითარი კრიზისი დღეს-დღეობით არ არსებობს ამ ორ მხარეთა დამოკიდებულებაში. მეორეს მხრით, ინფორმაცია, რომელიც მიღებულია ბუქარესტში, უარყოფს გავრცელებულ სამწუხარო ხმებს საბჭოების სამხედრო მზადების შესახებ რუმინიის მიმართ... რუმინია განაგრძობს წარმომადგენელი—არ უღალატებს თავის მშვიდობიანსა და შეთანხმების პოლიტიკას.

## მეურნეობა საქართველოში

ჩვენი ქვეყანა უმთავრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. მიწის მუშაობა ჯერ-ჯერობით საქართველოს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს შეადგენს. ქალაქის მცხოვრებნი ჩვენში მხოლოდ 17,8 პროც. შეადგენს, მაშინ როცა ბელგიაში ის 78,9 პროც. უდრის ინგლისში—73,5 პროც. გერმანიაში—60,0 პროც. ამერიკაში—46,3 პროც. საფრანგეთში—42,1 პროც. ჰოლანდიაში —40,5 პროც. საქართველოს მცხოვრებთა დიდი უმეტესობა მიწის მუშაობით ირჩენს თავს დაახლოებით ორ მილიონამდე. მიწის ფონდი საქართველოში არაა მცირე, რომ იგი რიგიანათ იყოს გამოყენებული. საქართველოში ირიცხება 5 537,,207 დესიატინა მიწა. მიწის ფონდიდან გამოსადეგია სოფლის მეურნეობისათვის 3,517,195 დესიატინა ანუ 64,4 პროც. დამუშავებული მიწები, რომელზედაც უკვე გამართულია კულტურული მეურნეობა 129,457 დეს. შეადგენს. უვარგისი მიწებისაგან დამუშავებული მიწების რაოდენობა შეადგენს 36,7 პროც. ახლა შევადაროთ საქართველოში დესიატინაზე მოსავალი ევროპის სახელმწიფოებს და დავინახავთ, რომ საქართველოში დესეტინა მიწა საშუალოდ იძლევა 50—57 ფუთ პურს.

ჩვენ ჩამოვრჩებით იტალიას სადაც დესიატინა მიწა იძლევა 57—60 ფუთამდე პურს. პოლონეთს (55—70) ფ. რუმინიას 75 ფუთი. უნგრეთში დეს. (80) ფუთი. საფრანგეთში (დეს. 90 ფ.) გერმანიაში მოდის (დეს 134 ფ.) ბელგიაში (161 ფ. დეს.) და დანიაში (183 ფ. დეს.) დესიატინა ვენახის საშუალო მოსავალი საქართველოში 95 ვედრას უდრის—ხოლო საფრანგეთში 137 ვედრ. გერმანიაში, 236 ვედრ. შვეიცარიაში 319 ვედრ.

ასეთივე შედარება არის სხვა და სხვა მოსავლის მხრივაც საქართველოსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის. მაშა სადამე როგორც ზემოთ ნაჩვენებ ცხრილიდან დავინახეთ, მოსავალი საქართველოში ძალზე სუსტი არის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში მშვენიერი ჰავა არის მიწის ნიადაგი საუცხოვოა, ფონდის რაოდენობაც თითქმის საკმაო და მიწის მუშათა რაოდენობაც, მიზეზი ჩვენი ასეთი მდგომარეობისა არის ის გარემოება რომ საქართველოში ძალზე ჩამორჩენილია სოფლის მეურნეობა. მიწა აქ ძალიან მცირე ნაყოფს იძლევა, ვინაიდან მისი დამუშავება პრიმიტიულია. არა გვაქვს შესაფერი სამეურნეო იარაღები, რომლითაც შეიძლებოდეს მიწის დამუშავება ისე, როგორც რიგი და წესი არის. (და არა მარტო მიწის ზედაპირის ბორჩხნით ვკმაყოფილდებოდეთ) არ არის განვითარებული ჩვენში „კანალიზაცია" სარწყავი არხები, რომ მოგვცეს საშუალება არ შევყურებდეთ ყოველ წელს წვიმას არხების საჭიროება ძალიან დიდი არის. ჩვენ მოვიხსენიეთ ზემოდ საქართველოში ვარგისი მიწების რაოდენობა. მაშასადამე მეორეს მხრივ არის უვარგისი მიწები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში საქართველოში უვარგისი მიწა, იმას კი არ ნიშნავს, რომ იმის გამოყენება არ იყოს შესაძლო არა! ეს არის დროებითი მდგომარეობა მაჩვენებელი ჩვენი მეურნეობის დაქვეითებისა. ჩვენში არ არის მეურნეობის ცოდნა იმდენად გავრცელებული, რომ მიწები სავსებით გამოვიყენოთ. როგორც ზევით მოვიხსენიე, საქართველოში უვარგისია ზოგიერთი მიწა, რადგან ვერ მოგვიწყვია მეურნეობა უცოდინარობისა და გამოუცდელობის გამო. მაგალითად, ყარაიაზის ველი უვარგისად ითვლება, მაგრამ ამ ველზე შეიძლება მოეწყოს მეურნეობა, თუ რომ იგი მორწყული იქნება. ამ ველზე წყლის არხების გაყვანის და მორწყვის ღონეებით, შეიძლება მაღალი ხარისხის მეურნეობის წარმოება. სარწყავი არხების გაყვანამდე კი იგი უვარგისად ჩაითვლება. მაშასადამე, რათა შემდეგისათვის უზრუნველ ყოფილი ვიქნეთ, საჭირო არის სოფლის მეურნეობის უმაღლესი განვითარება, წარმატება, აყვავება, მისი აღორძინება. საჭიროა დაუყოვნებლივ გაუმჯობესებული, კარგი სამეურნეო იარაღები, მიწის განოყიერება.

და უმთავრესი და უპირველესი სასწრაფო ზომების მიღება სარწყავი არხების გაყვანის შესახებ, რაც შეიძლება მრავლად საქართველოს ყოველ კუთხეში, ყოველ მიდამოში, სადაც კი ასეთი საჭირო არის. საჭირო არის მთავრობამ იძულებით ზომებსაც კი მიმართოს ასეთ საქმისათვის. შეაგნებინოს შეუგნებელთ. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დიდი სიმარჯვე, სიყოჩაღე გამოიჩინა ბაღდადის და მის მიდამოების ახლო მცხოვრებლებმა. აქ უკვე ერთი თვე არის, რაც დაწყებულია არხის მუშაობა, სადაც ყოველ დღე რამდენიმე ასი კაცი მუშაობს და მისი მნახველი აღფრთოვანებაში მოდის.

ვაშა მათ, ვინც თავს არ იზოგავს ასეთ საერთო საქმეში. კარგი იქნებოდა, რომ მათ მაგალითს სხვებმაც წაბაძონ. საერთო დასკვნა კი ასეთი არის: რათა მომავალში საქართველო, ქართველი ხალხი ეკონომიურად ძლიერი იქნეს, საჭირო არის დღევანდელ ხელისუფალთ საქართველოში აწარმოონ მტკიცედ და წარმ შეუხრელად სოფლის მეურნეობის აღორძინების, წარმატების და განვითარების პოლიტიკა.

[stamp]

## პარტიული კონფერენციის დელეგატების საყურადღებოდ

ოქტომბრის 30-ისათვის დანიშნულ პარტიულ ყრილობის დელეგატებისათვის პარტიამ შეიძინა რკ.ნის გზის ლიტერები. ყველა ორგანიზაციებმა დაჩქარებით უნდა გვაცნობოს სად რამდენი ლიტერი გავუგზავნოთ ტფილისში ჩამოსასვლელად. უკან გაბრუნებისას დელეგატები აქ მიიღებენ ლიტერებს. დელეგატები უზრუნველყოფილი იქნებიან აგრეთვე ბინით და პურით.

საორგანიზ. სამეული.

## საპედაგოგიო ინსტიტუტი

სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებით უნდა დაიხუროს ტფილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული საპედაგოგიო ინსტიტუტი. მის მაგივრად კი იხსნება პედაგოგიური ფაკულტეტი უნივერსიტეტში აკადემიური წლის დამდეგს. ამ ფაკულტეტზე იქნება სხვა და სხვა დარგები, რომელიც მოამზადებს საშუალო სკოლის მასწავლებლებს.

როცა განათლების ყოფილი სამინისტრო ხსნიდა საპედაგოგიო ინსტიტუტს, ის ალბათ იმ აზრით ხელმძღვანელობდა, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მცხოვრებთა მოთხოვნილების მიხედვით, მრავლად იხსნებოდა საშუალო და მდაბალ-დაწყებითი სასწავლებლები სხვა სკოლებთან ერთად. ცხადია, რომელიმე სასწავლებლის არსებობას მაშინ აქვს რეზონი, როცა მას ხელმძღვანელობს შესაფერისად მომზადებულ მასწავლებელთა კადრი. როგორც ეხლა, წინეთაც საქართველოში პედაგოგიური, თეორიული თუ პრაქტიკული სტაჟის, აღჭურვილი მასწავლებელთა ნაკლებობა დიდი იყო და ხშირად ისეთ პირს აბარებდენ სასწავლებლის ბედ-იღბალს რომელსაც ამ საქმესთან არავითარი კავშირი არ ქონდა და რა თქმა უნდა, ასეთი პიროვნება სასწავლებლის არსებობის ჩვეულებრივ მიმდინარეობაში დისონანს შეიტანდა და შეუფერხებლად მას მსვლელობას თავისი პირდაპირი იდეიისაკენ. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ამ მხრივ დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო ზემოთ ხსენებულ საპედაგოგიო ინსტიტუტს, რომელიც ორი საფეხურისაგან შესდგებოდა; პირველი საფეხური (პირველი და მეორე კურსი) ამზადებდა მასწავლებლებს მდაბალ-დაწყებითი სკოლებისათვის, მხოლოდ მეორე საფეხური (მე 3 ე და მე-4 ე კურსი) საშუალო სკოლებისათვის. დღეს კი ამ ინსტიტუტის დახურვით საშუალო სკოლა შეიძლება არაფერს არ კარგავდეს, ვინაიდგან მეორე საფეხურის მაგიერობას და მეტსაც გასწევს უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი, სადაც გადაირიცხებიან ინსტიტუტის მსმენელ-სტუდენტები; მაგრამ მდაბალ-დაწყებითი სასწავლებლების მოსამზადებელ ინსტიტუტის პირველ საფეხურის მაგიერობა ჯერ-ჯერობით არც ერთი დაწესებულება არ ასრულებს.

იმ დროს, როცა ახალი სასკოლო რეფორმამ სწორედ ამ სასწავლებელში (მდაბალ-დაწყებითი) გატარდა, რომელსაც დაედო საძირკვლად შრომის პრინციპები—შრომის სკოლის სახით, სადაც ამის და მიხედვით უნდა სასწრაფოდ მოხდეს ძირიანი რეორგანიზაცია მეცადინეობის მეთოდიკაში და ახალი მოძღვრებით უნდა მოამზადოს მოზარდი თაობის აღზრდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინსტიტუტის პირველი საფეხური აუცილებლად უნდა არსებობდეს და ლექციების სისტემა იმ სახით უნდა შეიცვალოს, როგორიც შეეფერება ახალი შრომის სკოლის მოთხოვნილებას.

დღემდის არსებული ინსტიტუტის პირველი საფეხურის მეორე კურსის მსმენელი-სტუდენტობას წელს ეძლევა საშუალება, როგორც ეს უკანასკნელად გამოირკვა, გააგრძელონ მეცადინეობა ჩვეულებრივი წესით და კურსის დამთავრებისას შეეძლებათ მსმენელებს გააგრძელონ სწავლა უნივერსიტეტში, იმ საგნების ჩათვლით, რომელიც მათ ჩაბარებული ექნებათ ინსტიტუტში.

გ. თავზარაშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

**დაპკარგე** უნივერსიტეტის წიგნაკი მედიკური ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდ. მარიამ მახარაშვილი-კობერიძისამ. ეს წიგნაკი ჩაითვალოს გაუქმებულად.